საქართველოს სოც.-დემოკრატიული სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქ-
ციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოს-
ტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი ერთი მანეთი

№ 40

პარასკევი, ოქტომბრის 7 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში
(სერგიევის ქ. 13) გაიხსნება

სრულიად საქართველოს მორიგი წლიური მწერალთა კრებულგა

დღიური წეს რიგი:

1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი.
5) „რიბისი“ და მწერალთა კავშირი.
6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია.
7) სამეფო-ნეო საბჭოს დაარსება.
8) მიმდინარე საკითხები.
9) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსაგან მიეცემათ გზის ფული, საღილი და ბინა. კრებულობა გაიხსნება დღის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა

ყველაზე უფრო გამანადგურებელი და დამაძლუპველი ერის ცხოვრებაში არის ეკონომიური კრიზისი და მისგან გამოწვეული სიმშილი. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება მოიშალა და დაიგრა საერთაშორისო ომისა და რევოლიუციის პროცესში. საქართველო თავისი დოვლათით დარიბი ქვეყანაა. ჩვენ ქალაქებს არ ამშვენებს დიდი საწარმოო ქარხნები, და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ხელუხლეველი სოვლემენ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და ქართველ ხალხს არ აქვს საშუალება ეს დიდი საუნჯე გამოიყენოს საკუთარ, თავისი ეკონომიური წარმატებისათვის. ეკონომიურად ჩამორჩენილსა და განუვითარებელს ქართველს ხალხს ყოველთვის წინ ელობება მრავალი შემაფერხებელი მოვლენები და არ აძლევს საშუალებას თავის საკუთარ ფეხებზე დასდგეს. ჩვენი ერთად ერთი მარჩენელი და მთავარი წყარო არის სოფელი, სოფლის კულტურა. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა არის ის წყარო, საიდანაც კრეფენ ქართველი ხალხი თავის არსებობის ძალას. საგრძ ჩვენი სასოფლო კულტურა ერთ წერტილზე არის გაყინული და ჩვენ ისეთი იარაღებითა და ინვენტარით ვსარგებლობთ სასოფლო მეურნეობაში, რომელსაც ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები XVII-საუკუნეში და უფრო ადრეც. ამ მხრივ ჩვენი კულტურა კუს ნაბიჯითაც ვერ მიეკანება წინ. ჩვენ არ გვიხდია და არც ვიცი ევროპის ტენიკოსი და მეცნიერების ახალი მონაპოვარი ჩვენი ცხოვრების ასაღორძინებლად. ჩვენი სოფელი უშატრობოდ არის მიგდებული ტ უკულტურო გლები თავის შეგნებითა ტ გარეშეობების ბიბ.ლვით მარტოვს ერთ საქმეს—სასოფლო ეურნეობას. მელიორაც ი, „ადრეხეკი“, ხელოვაური მორწყვის საქმე ჩვენში ჩანასახშიც არ არის. ახლა ჩვენი სოფლის ბედი ბუნების სურვილებზედ არის დამოკიდებული და მისი ნაყოფიერება იმდენად ძლიერი და ბარაქიანი, რამდენადაც აძლევ ხელს უწყობს ბუნება. ამ ხრივ დასავლეთ საქართველო სწორედ უმეტეს მდგომარეობაში იმყოფება ყლევანდელმა მდგომარეობამ ეს ნათელ ჰყო ყველასათვის, ბუნების სიჯიუტემ იმდენად დაბაზარალა დასავლეთ საქართველო, რომ ნახევარი წლის სარჩოც არ მოგვსვლია. როდესაც საჭირო იყო წვიმები, გვალვებმა გადასწვა მთელი სათესი მიწადგრები, შემოდგომის პირზე კი კოკასპიოული წვიმებით საშველები არ მიეცა ძოსავალს გაზომობისა და დამუშავებისათვის. დღეს ნათელი ხდება, რომ ჩვენ დიდი შიმშილობა მოგველის ხვალისათვის. ჩვენი რესურსებით ჩვენს მოთხოვნილებებს ვერ დავიკმაყოფილებთ. ეს ყველასათვის ცხადია. წარსულშიაც საქართველოს საგრძნობი იმპორტი, ემოტანა სპირდებოდა ურსა-სანოვაგის, ბოლოდ ულობის, ეს ძაშინ, როდესაც მოსავალი ნორმალური იყო და სასოფლო ეურნეობაში თავის შესაფერ ნაყოფიერებას იძლეოდა; დღეს კი ან ნაყოფიერების სახეგართან გვაქვს საქმე და როგორც ირკვევა ზოგი ოთი ჩვენი რაიონები დიდი გაჭირვების წინაშე სდგანან. ჩვენ არ გვინდა ასეთი უიმედო სურათის დახატვით რამენი პანიკა შევაქმნათ, ან ვინმეს დავსდვათ ბრალი ან უბედურებაში. ჩვენი მიზანია მხოლოდ გავაფრთხილოთ ჩვენი ხელისუფლები და გარკვევით მიუთითოთ იმ უბედურებაზე, რომელიც მოელის ქართველ ხალხს, თუ ადრევე საჭირო მიზანშეწონილი ზომა ფრ.ა.ს წარმოება და თადარიგისათვის მ.ა.ა.ბ. მთელი ჩვენი სახელმწიფოს ...ეი ამარაგები უნდა ავამოძრავოთ თავიდანვე და საჭირო თადარიგის მზადებას უნდა შევუდგეთ. ჩვენს სასურსათო პოლიტიკას ორი გამოსავალი გზა აქვს და ეს

ამბ. ს. ამაღლობელის წერილებისა გამო

საჭიროა თუ არა ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები?

ამბ. სერგო, თქვენი აზრით ქალთა დამოუკ. ორგანიზაციების არსებობას მანამ ქონდა აზრი, სანამ ქალთა სწორუფლებიანობა გამოცხადდებოდა. დღეს კი უკანასკნელის გამოცხადების შემდეგ ასეთს ორგანიზაციებს, არა თუ რაიმე მიზანი არა აქვს, არამედ არც დასაშვებია იგი.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვისი მხრით არ არის დასაშვები? ქალებისა, თუ ვაჟების მხრით? ჩვენთვის ქალებისათვის დასაშვები კი არა ამბანაგო, დიდათ საჭიროც არის ის და თუ თქვენი—ვაჟების მხრით არ არის დასაშვები ეს გვაჩვენებს თქვენს უანგარობას ქალთა საკითხისადმი.

გაზ. „ტრიბუნის“ ფურცელზე მე მოუწოდებდი ამბანაგ ქალებს, მოეწყოთ ორგანიზაცია მეამაცხენენ ს. ფ. პარტიის გარშემო. მე დღესაც ამავე აზრისა ვარ, ამავეს ვურჩევ ამბანაგებს, მხოლოდ არა იმ აზრით, რომ თითქო ქალთა დამოუკ. ორგანიზაციებს თავიანი დრო მოეკამოს და ის საჭირო არ იყოს ქალებისათვის, არამედ მისთვის, რომ დღევანდელს პირობებში მისი მოწყობა შეუძლებელი ხდება და ამისათვის ჩვენ სხვა გზა არ დგვრჩენია, თუ არ იდეურად ჩვენი თანამოაზრე ძმებთან მუშაობისა. საჭიროებას კი ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებისას ჩვენ ი რაში ვხედავთ: ჩვენი დრა რწმენით ერთი ალმის მოსმით ათასი წლობის მონობის მოსპობა შეუძლებელია და ამ შემთხვევაში ბრძოლა ტ მოქმედება უნდა გადმომდინარეობდეს მისგან ვინც თვით განიცდის უფლებაში და თავის ადამიანურ პიროვნების ა დგენაში დაინტერესებულია, და ვისი ასეთი დირსებანი დამცირებულია არა მათგან, ვისგანაც ეგ დირსებანი შელახულია, ვინაიდან ერთობ დიდია ამბანაგო, სოციალური პრივილეგიებით განვითარებული ვაჟთა ეგოიზმი, რომ ქალების ხმის ამოუღებლად დაუმორჩილოთ თქვენ იგი რაციონალურსა და ჰუმანიურს მოსაზრებას.

არსებითად ქალები პარტიის ფარგლების გარეშე არც მოქმედებდენ და ამ გვარმა მათმა თქვენდამი ნდობამ შედეგთ ის მოიტანა, რომ ნამობგდ სწორუფლებიანობას ქართველი ქალები სრულად მოუმზადებელნი შეხვდნენ. ქართველ ქალთა უმრავლესობამ იცის, რომ რაღაც სწორუფლებიანობა მიიღო, მაგრამ მან არ იცის რას აძლევს მას ეს სწორუფლებიანობა და როგორ გამოიყენოს იგი.

ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელთაც ეწარმოებინათ სპეციალურად ქალთა საქმე არც არსებობდა საქართველოში, რუსეთის 1917 წ. რევოლიუციამდე. წინანდელი ქალთა ორგანიზაციები უფრო საქველმოქმედო მიმართულებისა იყო, ვიდრე საგანმანათლებელ. და თუ რასმეს აკეთებდენ ეს ორგანიზაციები, უფრო ამა თუ იმ პარტიების სასარგებლოთ კეთდებოდა, ვიდრე ქალთა საქმისათვის.

ქართველ ქალებს სოციალისტურ პარტიებში მუშაობამ 25 წლის განმავლობაში მიუხედავად ამდენი ბრძოლა კრებაზე დასწრებისა, ვერ შეასწავლა ვერც თავმჯდომარეობა კრებისა, ვერც მდივნობა და ვერც დალაგებული საუბარი საზოგადოებაში! მთელი მათი მოქმედება სადამოებისა და საჩაიების მართვაში გამოიხატებოდა, მისთვის, რომ ვაჟებმა სხვას არ თხოულობდენ მათგან. თქვენ ხედავთ დარწმუნდით ამ ხანაგო, რომ ქალთა უმრავლესობას განსაკუთრებით აღმოსავლეთში საშინელი გაუბედაობა ეჭვნევა ვაჟთა კრებებზე. თანამედროვე საქართველოშიც ასე ხდება და არა მარტო ჩვენს დროში, არამედ მას აქეთ, რაც ჩვენმა სამშობლომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ვაჟთა კრებაზე ქალები განიცდიან უცნაურ ზნეობრივ სიძძიმეს, რომლის გამო მათ უჭირთ სათქმელის თავის მოყრა, იბნევიან და თუ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ საშინელი მდელვარე ძალდატანებით. და ეს ხდება მისთვის, რომ ვაჟთა აუდიტორია წინასწარ მომზადებული მრუკუეთი ეზრით უსმენს ორატორ ქალს, რაც უსიტყვოთ მოქმედობს უკანასკნელზე. ადამიანის სულიერი ძალა იქ გამ ჩნდება, სადაც არსებობს მისდამი რწმენა და არა იქ, სადაც მას ეკვითა და ირონიით უცქერიან.

თუ რომ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი უკუდმართობა (და რომ არსებობს ბარბაროსული ნაშთი ქალთა მონებისა ამას თქვენც ხედავთ და აღიარებთ) უნდა ვიბრძოდეთ მის წინააღმდეგ თუ არა? თქვენ კი არც იბრძვით და არც ქალებს აძლევთ ნებას მის წინააღმდეგ ორგანიზაციულად ბრძოლისას. თქვენ, გამოაცხადეთ ქალთა სწორუფლებიანობა და ამით თქვენი მოვალეობა ქალების წინაშე მოიხადეთ, გული დაიმშვიდეთ და იფიქრეთ ქალებიც სამუდამოთ დაამშვიდეთ და მაგ ოროომ-ტრიალს ბოლო მოუღეთ. ამას ფიქრობდით თქვენ და ფიქრობთ იმ დროს, როცა თვითონ ხედავდით და ხედავთ რომ მარტო ერთი სიტყვიერი გამოცხადებით ქალთა სწორუფლებიანობისა, ქალთა სოციალური მდგომარეობა ამ რევოლიუციის დროს, არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ ერთი ათად გაუარესდა საქართველოში. განა თქვენ ვაჟები არ ხედავთ ამბანაგო სერგო, თუ რა დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობაა საჭირო სოციალური რეფორმების გასატარებლად ქალთა სწორუფლებიანობისათვის, იმ საზოგადოებაში, რომელშიაც დრამათ შეჭრილია ცრუმორწმუნეებანი და ბარბაროსული ტრადიციები?! და როცა ქალებს უშლით პარტიის ფარგლების გარეშე მოქმედებას, რა გაკეთეთ ვაჟებმა ამ ოთხი წლის განმავლობაში აღიარებული ქალთა—სწორუფლებიანობის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომ ხალხს შეეგნო და შეეთვისებინა იგი? გიკვლიათ კი, რომ აგემაღლებინათ ქალი ვიწრო ეგოისტურ ოჯახურ სფეროდან საზოგადოებრივი ინტერესების შეგნებამდე? იმ დროს

საქ. სოც.-დემ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ კრებულგას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო დლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. დლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

როდესაც ქალებმა ქ. ქუთაისში დაარსეს საკუთარი ქალთა გაზეთი 1917 წ. ტ თქვენ თანაგრძნობის ნაცვლად კიცხავდით მათ „გათიშვისა“ და „გამიუფის“ „სახელით მენშევიკებთან ერთად, რას აკეთებდით თქვენ ქალთა საქმის საკარგებლოთ?

სქესთა ახალი ურთიერთობის გასამტკიცებლად და ათასი წლობის მონობის მოსასპობლად დამისახელეთ, რომელ პარტიას შეუწუხებია საქართველოში თავი. გაწეულა ვაჟთა მიერ რაიმე პროპაგანდა ხალხში ამ საგანზე, დაწერილა რაიმე სერიოზული სტატიები? გამოცემულა რაიმე ლიტერატურული ნაწარმოები ამ ხნის განმავლობაში. დაასახელეთ რომელმა პარტიამ შეეცადა, რომ ქართველი ქალი გარდაქმნილიყო უბრალო ძიძიდან,—ნამდვილ დედათ, შინაურ უფასო მოსამსახურიდან—ოჯახის წევრად და საზოგადოების მკვდარ ნივთიერებიდან—ცოცხალ მომქმედ ძალათ? არც ერთს, გეტყვით მე, არც ერთი საქართველოში მომქმედი პარტია არ ასულა ასეთს სიმაღლემდე და არ ასულა მისთვის, რომ მას ეს საკითხი არ ინტერესებდა და არც ვაჟთა უპირატესობის მოსპობას ფიქრობდა. ივანეს სკამზე მსაჯულად მარიამი, რომ დაჯდეს ეს არ ნიშნავს სოციალურ რეფორმას ქალთა საქმისას.

როგორც მუშათა კლასი ვერ მიანდობს თავის საქმეს კაპიტალისტებს გარდასაწყვეტად, ვერც ქალები თავიანთ დედაკაცურ ინტერესებს ვაჟებს მიანდობენ, და მით უმეტეს დღევანდელს ვაჟებს რა პარტიისაც არ უნდა იყვნენ. ისენი პარტიის ფარგლებში ქალებმა უნდა იმუშაონ პარტიის დირექტივების ქვეშ. და დღემდე პარტიები ყველ.ფერს ეხმარიან გარდა ქალთა ცხოვრების განახლებას და მათი ადამიანური პიროვნების ცხოვრებას სინამდვილეში ადგენას და ამაღლებას. ქალთა საქმეს ჩვენი ერმა რწმენით თვით ქალები უნდა კეთდებდეს ხელს. და ის ვაჟები, რომელთაც სურთ სქესთა ულიერი ჰარმონიის ადგენა უნდა ხელს უწყობდენ და ეხმარებოდენ მათ. დამოუკიდებელი ორგანიზაციები ქალებისა გარდა იმისა, რომ ქალებს მისცემს ძალას და მხნეობას თავიანთი სამართლიანი მოთხოვნილების გასატარებლად ცხოვრებაში, წარმოადგენს აგრედვე ეოთგვარ კულტურულ სკოლას, სადაც ქალები შეეჩვევიან საზოგადოებრივობას, დაეუფლებიან მათ ისე როგორც აქტივობისთვის ინტერესებს ურთიერთ პატივისცემას, რომელსაც დღეს ქალთა მასა მოკლებულია, გათიშული ცხოვრებით და საერთო ინტერესის უქონლობით. თქვენ, იტყვით ბურჟუა და პროლეტარ ქალებს რა საერთო ინტერესები აქვს, რომ ერთ ორგანიზაციაში იმოქმედონო, როგორც ათასჯერ მოგვისმენია თქვენგან ესე იგი ვაჟებიდან, თანხედაც ჩემი პასუხი ერთი და იგივეა. ბურჟუა და პროლეტარ ქალს ეკონომიურად და აქედან პარტიულად, თუ არაფერი აქვს საერთო სამეგიერიოდ უფლებრივ საკითხში მათი ინტერესები ერთნაირად მელახულია და თუ რომ სოციალიზმი მარტო ერთს ეკონომიურ ექსპლოატაციის მოსპობაში არ გამოიხატება და არც ქალაქის მუშების ჰეგემონიაში, არამედ ამის უნივერსალური თეორია, რომელიც სპობს ყოველგვარ ძალადობას, როგორც კლასობრივს, ისე ეროვნულს, და პიროვნულს, მათ საერთო ოდიგორც დაჩაგრულს სქესს ბევრი რამ ადმოუჩენდება. პიროვნება განვითარებული ბურჟუა ქალი კლასობრივ ინტერესებზე ძალა აწევას შესძლებს, დასაცველად თავის ადამიანური დირსებისა. ეგრამ თქვენ ამბანაგო, არა მარტო ბურჟუა და პროლეტარ ქალების შეთანხმებას ეწინააღმდეგებით ქალთა საკითხის გარშემო, არამედ თვით სოციალისტ ქალებისაც კი.

ქართველი ქალის დაბეჩავება ისეთი მწველი მოვლენაა, რომელსაც აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს. ამას მოითხოვს ბრძანებელი საჭიროება ქართველი ერის პროგრესიული წინსვლისა და მისი რასიული ჯანმრთელობის აღდგენისა. და ყოველი ნაბიჯი ამ მხრივ ვისგანაც არ იყოს გადადგმული, სასურველია, მცირე რიცხოვანმა და კულტურულად ჩამორჩენილმა ერმა უნდა შექმნას თავის წიაღში რაც შეიძლება მეტი აქტივი ძალა: ცოცხალი, ენერგიული, ღელმეფნტებისთვის მოყრით. ვერავითარი ადზრდის საუკეთესო სისტემები ჩვენი თუ უცხო ერის პედაგოგებისა ვერას მისცემს ერს, სანამ ქართველი ქალი შეჯაჭვული იქნება და არ განთავისუფლდება იმ სოციალურ მდგომარეობიდან რომელშიაც კვდება ქალი. უკეთესი ზრახვა და ბისწრაფებანი. მხოლოდ დამოუკიდებელი ქართველი ქალები, ვაჟებთან ერთად თანასწორად დამშვებული ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობაში, გაეორკეცებენ ქართველი ერის მემოქმედებას, როგორც ტიცხვით, ისე ხარისხით, მისი ნახევარი ნაწილის პასიურ მდგომარეობიდან გამოყვანით.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პარტია ყოველგვარ ბურჟუაზიულ ელემენტებიდან გაიწმენდილი ამ ნიადაგზე სდგას დღეს და გულწრფელად დაინტერესებულია ქართველ ქალთა პიროვნულ და ძოქალაქურ უფლებათა აღდგენაში. და ამისათვის არა თუ არ ეწინააღმდეგება ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, არამედ როცა კი მოსახერხებელი იქნება ის, აღნიშნულ საჭიროების მიხედვით, ხელსაც შეუწყობს მას.

კალო მიქელაძე.

პოლონეთის ავანტიურა და კონტრრევოლიუციის იმედები

პოლონეთია უკანასკნელად ბოტამ.საბჭოთა ოუსეთისა ძლიერ აიბმაფთა ფართო საზოგადოება და სხვა და სხვა გვარი იმედები აღუძოთ. გულწრფელი რევოლიუციონერები და ნამდვილი სოციალისტები სათლად აჩჩევდნენ იმ ავანტიურას, რომელშედაც ყამოეგო პოლოსეთის პანები და რომელიც ძალოთული იყო საბჭოთა ხელისუფლების გასახადგუბულად რუსეთში; საერთაშორისოს პროლეტარიატმა შეგნებულად ანერთვა ალლო დეევანდელს მდგომარეობას და თავიანი სოლიდალური თანაგრძნობით მიმართა რუსეთის ძმობელ დემოკრატიას, ოომელსაც ახალ საფრთხეს ეზიდებდა ევროპის იმპერიალისტეთ. გალალდებული პოლონეთია კონტრრევოლიუციონური მთავრობა. ძეოოეს ძალით, პოლონეთის მოქალაქეებმ და ულტიმატუმმა დიდი აღფოთოვანება გამოიწვია რუსეთის კონტრ-ოევოლიუციონურს ყრეებში. სანხედოო ძოქალაქეებ თანამედროვე რუსეთის წინააღმდეგ, ინგლისელებსა და ...ლოკადა ...ბედებია ფრთებს ...ბაძდა თავიდანვე რეაქციონურ ძალებს და ისინი ამ გზით ცდილობდენ ყოველ პირობებში და გეოგრ.ფიებში ძირი გამოეთხარათ ეუშათა და გლეხთა დიქტატურისათვის რუსეთში. დღესაც პოლონეთის ავანტიურისა ულ.ძა ნოტამ ახალი პერსპექტივები გადაუშალეთ როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნების კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს. ისინი ფიქრობენ: საბჭოთა დღეს დეეოეთ ...ელს კოალიციის გაბიცდის ძირითური ეკონომიური გეგმ.ერების გამო, მისი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ...ბოლა ...ალა და ...ალ დდევანდელ პერიოდში ...ალ შეეძლია შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს გა-

რედან მოსულს მტერს; მით უფრო, რომ შინ ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის თანდათან მწვავდება და ღრმავდება. ასეთ პირობებში პოლონეთის სამხედრო მოძრაობას გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება დაერთიანებელ და სამუდამოთ განთავისუფლებულ რუსეთი მშრომელთა ბატონობისაგან. ამ ეს ჰანგებზე მღერის რუსეთის რეაქცია და ამ სიმღერას ბანს აძლევენ ჩვენებური ანტი-რევოლიუციონური ელემენტებიც, რომელნიც თავიანთ შინაარს დებენ და თავისებურ იმედებს ამყარებენ პოლონეთის გამოსვლაზე.

რეაქცია ყველგან და ყოველთვის ერთნაირს ჰანგზე მღერის და ერთნაირის გზით მიემგზავრება თავისი ბოზაკვრული ზრახვების განსახორციელებლად. ესენი, მენშევიკები, კადეტები და სხვა რეაქციონერები შეხმატკბილებულად ღაღადობენ და ოცნებობენ საბჭოთა რუსეთის გადაგვარებაზე და კომუნისტთა დიქტატურის მოსპობაზე.

მაგრამ დღესაც, როგორც წარსულში, კონტრ-რევოლიუციონერებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და მათ იმედებს რამოდენიმედ ფრთები შეეკრა. წარსულში რუსეთის წითელმა არმიამ შეუდარებელის ენერგით გაუწია ევროპის მოძალადეებს წინააღმდეგობა და შეერთებულის ძალით გაანადგურა კოლჩაკ-დენიკინისა და იუდენიჩის ბანდები. ღღეს შესაძლებელი შეიქმნა დიპლომატიურის გზით მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, როგორც მკითხველმაც იცის, პოლონეთის ავანტიურისტული განზრახვები ლიკვიდაციის პროცესშია და დიდი შანსებია იმისი, რომ კონფლიქტი უსისხლოდ დამთავრდება.

ეს გარემოება არ არის სასიამოვნო მრავალთათვის, რომელნიც დიდ იმედებს ამყარებდნენ პოლონეთის პანების მოქმედებაზე, მაგრამ ცხოვრების მკვიდრმა ლოდიკამ თავისი გაიტანა და მშვიდობიანი ურთიერთობა შესაძლებელი ხდება რამდენიმედ მაინც ჩადგეს თავის კალაპოტში.

რით შეიძლება აიხსნას პოლონეთის ასეთი თაკვლური ნოტა და შემდეგ მისი უკან დახევა? რა მიზეზები უდევს საფუძვლად და რა მიზნებს ისახავდა პოლონეთის იმპერიალისტები ასეთი მოქმედებით!

პოლონეთის მთავრობა თავიდანვე ანტანტის ორბიტაში მოექცა და მის გეგმებსა და მოქმედებას ყოველთვის ტონსა და შინაარს აძლევდა გამარჯვებული ევროპის იმპერიალისტები განსაკუთრებით პოლონეთმა მეგობრული ურთიერთობა განამტკიცა საფრანგეთის მთავრობასთან. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ერთი მთავარი მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთს სურდა ნამდვილი რეალური ძალა ყოლოდა გერმანიას წინააღმდეგ და მასთანვე ერთგვარი გარდუვალი სიმაგრე აღემართათ რევოლიუციონურ რუსეთსა და რევოლიუციის პროცესში მყოფ გერმანიის შორის. საფრანგეთის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისადმი თავიდანვე მტრული იყო და ამ პოლიტიკას არ მოუხრია ქედი მაშინაც კი, როდესაც მისმა მოკავშირემ ინგლისმა ეკონომიური ურთიერთობა და ერთგვარი საზავო დამოკიდებულება გახამტკიცა რუსეთთან. საფრანგეთის პოლიტიკა ამ საკითხში ღაშორდა ინგლისის პოლიტიკას და ინტერვენციისა და საომარი მოქმედება რუსეთისადმი კვლავ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა საფრანგეთის იმპერიალისტების. საფრანგეთის მთავრობის ცდა იქით იყო მიმართული, რომ შეექმნა დიდი ანტი-ბოლშევიკური კავშირი და შეიარაღებული ძალით დაეცა საბჭოთა რუსეთი, ამიტომ ის უხვად აწვდიდა იარაღსა და სხვა საჭირო მასალებს პოლონეთსა და რუმინიას, გამოცდილი ხელებით აწყობდა მათ ტერიტორიაზე საომარ ორგანიზაციებს, რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურმა ძალებმა ფართოდ გაშალეს სამოკმედო გეგმები პოლონეთისა და რუმინიის საზღვრებში პეტლიურასა და სავინკოვის სახით და აქედან აწყობდნენ შეიარაღებულ თავდასხმას რუსეთზე. ეს ორი საბჭოთა სავსებით დაუმორჩილა საფრანგეთის იმპერიალისტების პოლიტიკას და მათი სამოქმედო გზები სავსებით შეწონილი იყო ამ პოლიტიკასთან.

ამდენჯერ საფრანგეთს არ სურდა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება და ტანჯებითა და ზარბაზნებით უმასპინძლდებოდა კომუნისტების მშვიდობიან წინადადებებს. მაგრამ ღღეს ღღეობით საფრანგეთის პოლიტიკა რამოდენიმედ შეიცვალა ობიექტიურ გარემოეთის შეცვლის გამო. მისმა მოკავშირემ ინგლისმა ძოისურვა რუსეთის მთელი მონოპოლია და ამისათვის შესაფერისს პრაქტიკულ საქმიანობასაც აწარმოებს.

საფრანგეთი ამ დიდ მუშაობის გარეშე ჩაჩება თავისი ძველი პოლიტიკის გამო და პერსპექტივები ძველი ვალების განაღდებისა რეალურად ვერ ხორციელდება. საფრანგეთის იმპერიალისტები და კაპიტალისტებ, ცხადია, ასეთს მდგომარეობას ვერ შეურიგდებიან და ისინიც შეეცდებიან საბჭოთა რუსეთის მდგომარეობით ისარგებლონ და მოზრდილი ლუკმა ჩაიგდონ ხელში. ეს შესაძლებელია მხოლოდ ძველი პოლიტიკის მშვიდობიანობისაკენ გადახრით და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებით საბჭოთა რუსეთთან. და როგორც რუსეთის გაზეთებიც აღნიშნავენ, საფრანგეთის დღევანდელი პოლიტიკა აქეთკენ არის მიმართული მას სურს კონკურენტის როლში გამოვიდეს ინგლისთან და არ ჩამორჩეს სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომელნიც ცდილობენ ეკონომიური ურთიერთობით საბჭოთა რუსეთთან დადი სარგებლობა და მოგება გამოიტანონ.—საფრანგეთმა გადახარა თავისი პოლიტიკა მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ ამ მიზნის მიღწევას ის საომარი მზადებითა და დემონსტრაციებით სცდილობს. ამ ბრიგ საფრანგეთის აზრუს პოლონეთი და რუმინია წამოეგო. ამ ორი ბურჟუაზიული სახელმწიფოს საშუალებით საფრანგეთი სცდილობს საომარი დემონსტრაციები მოახდინოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მათი დამუქრებით აიძულოს რუსეთი „მისთვის" სასარგებლო საზავო პირობებზე. აქ მოსჩანს საფრანგეთის თაღლითობა და დიპლომატიური თამაში. მან აიძულა პოლონეთი რუსეთისათვის წარედგინა ულტიმატუმი და მუქარა. ეს აქტი მისთვის სასარგებლო იყო. პოლონეთი დასთანხმდა ასეთს მოქმედებას, მაგრამ იძულებული შეიქმნა თავისი ულტიმატუმი უკ ნვე წამოეღო. რაშია საქმე? საბჭოთა რუსეთის პოლიტიკოსებმა თავიდანვე აირთვეს ალღო მდგომარეობას, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთი აწარმოებდა ორმაგ ბულლერტერიას და პოლონეთის ნოტას შესაფერისი პასუხი გასცეს. პოლონეთი ამ ქამად დიდ კრიზისს განიცდის და საომარი მოქმედება შესაძლებელია მისთვის საბედისწეროც შეიქმნეს. ამ გვარად ის იძულებული შეიქმნა ულტიმატები უკან წაეღო და თითქმის უბრალო დიპლომატიური მოლაპარაკების საგნად გადაექცია ის საგანი, რომელიც სისხლის მორევს უმზადებდა პოლონეთისა და რუსეთის პროლეტარიატს.

როგორც ადვნიშნეთ, რუსეთ-პოლონეთის კონფლიქტი ლიკვიდაციის პროცეს როგორს გავლენას მოახდენს საფრანგეთის იმპერიალისტურს მთავრობაზე ეს უკანასკნელი დიპლომატიური მარცხი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ერთი ნათელია. თუ პოლონეთთან კონფლიქტი უსისხლოდ დამთავრდება, საფრანგეთი იძულებული შეიქმნება, როგორც პოლიტიკურად დამარცხებული, ქედი მოიხაროს და საზავო ურთიერთობაში მაინც შევიდეს საბჭოთა რუსეთთან. რაც შეიძლება საჩქაროთ, რომ ამით ერთგვარი ეკონომიური ჰეგემონია მოიპოვოს რუსეთში ღ არ ჩამორჩეს თავის „მოკავშირე" მტრებს ჯიდი დოვლათის სარგებლობაში.

ამ გვარად ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს ერთხელ კიდევ გამოეცალათ ხელიდან მათი აღრფრთოვანების საფუძვლები და ერთხელ კიდევ შეუძლებელი შეიქმნა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სისხლის მორევში ჩაღრჩობა.

სიმ. ხუნდაძე.

პირველი საქსოვი ფაბრიკა საქართველოში

ამ ოთხი თვის წინათ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა რუსეთის სათანადო უწყების წინაშე ერთი საქსოვი ფაბრიკის დათმობის შესახებ საქართველოსთვის. ამ საკითხის მოსაგვარებლათ ცეკავშირთან შეთანხმებით გაგზავნილ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქმის პრაქტიკულათ განხორციელება. მოსკოვიდან ამ დღეებში მივიღეთ ამბავი. ბუდუ მდივანის დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ საქმე სასურველათ დაგვირგვინებულა, უკვე დატკერთულია ოცი ვაგონი საქსოვი ფაბრიკის აპარატები, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩამოვა საქართველოში.

ეი ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები ამ საკითხის შესახებ:

კომისია მოსკოვში ჩავიდა აგვისტოს 14. პირველათ კომისიას წინ გადაეღობა ზოგადი საკითხი ფორმალური ხასიათისა; რამდენათ დასაშვებია, რომ საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობას უმაღლესმა საბჭომ თავისი წარმოებითი ზრუნვა გაავრცელოს დამოუკიდებელ საქართველოზე. ამის გამო საბჭოთა საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ცხაკაიამ აგვისტოს 16 წერილით მიმართა სრულიათ რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მოსთხოვა მას დაერთო ნება საქართველოში ერთი საქსოვი ფაბრიკის მოწყობილობის გატანისა. ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა. სამოლოვოთ კომისიას ება დართო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გაეტანა საქართველოში ოთხი აპარატი. ამ დადგენილების ასახსნელათ კომისიას უფლება მიეცა გამოიტანოს.

2 გასაჩეჩი მანქანა.

2 გასაწეწი მანქანა.

1 კვანძებიდგან გამაწმენდი მანქანა.

8 დასავარცხნი მანქანა,

4 ან 5 სართავი მანქანა „სელფაქტორის" სისტემისა.

1 მექანიკური საქსველის გასაპიმავი მანქანა.

40 ან 50 საქსოვი საფეიქრო დაზგა.

2 საპარსავი მანქანა.

1 ჰირდავლიური პრესი.

გასარეცხი, მოსათელი და საპრეტურო მანქანების თითო ნიმუში.

აგრეთვე ნება მიეცა კომისიას გამოიტანოს სხვა და სხვა წვრილმანი:

ლურსმანი, მავთული, შოლტები და ა.ხ.—100 ფუთი, კაუსტიკური სოდა—200 ფუთი, ცემენტი—5000 ფ. და სხ. და სხ.

ორი ვაგონის დუბლიკატი უკვე მიღებული ტფილისში, დანარჩენი ვაგონები გზაში უნდა იყოს.

ამ მანქანებსშეუძლიათ დაამზადონ დღეში 50 ფუთამდე ძაფი და თუ ორ რიგათ ვიმუშავებთ, მაშინ 100 ფუთამდე, როგორც საქსველისთვის, ისე მისაქსოველისთვის. ამით დამზადდება დღეში 2000—4000 არშინი სხვა და სხვა შალეული ქსოვილი (მაუდი, საშინელო, სასაბნო და სხვა ქსოვილები) ე. ი. წლიურათ ერთ მილიონ არშინამდე ორ—განიანი ქსოვილი.

ასეთი დიდი საქმე სრულიად სადათ და მარტივად, გადაწყდა. თუ მოსკოვის მპყრობლები ნებას არ აძლევდენ აქაურ მწარმოებლებს თავის ხარჯზე მოეწყოთ საფეიქრო წარმოება, ახლა საბჭოთა მოსკოვი უანგარიოთ გზავნის აქ საკუთარ ფაბრიკებს. სრული იმედია, საქართველოს მშრომელი ხალხი დირსეულათ დაფასებს ამ ძვირფას ძღვენს და შრომის ნაყოფიერების ძლიერი გაზრდით ეცდება თავის მოძმე რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ გამარჯვებული გამოვიდეს სამეურნეო ფრონტზე.

„კომ".

ისევ მალიარიაზედ

ამას წინად ჩვენ ვსწერდით საბურთალოს გასაჭირზედ. ესლა სომხური გაზ. „კარმირ ასტდ" (წითელი ვარსკვლავი) №176 ნოიარის მეთაურში „ვაკეზე" სწერს შემდეგს:

„ვაკე ჰქვია ტფილისის იმ სანაპირო უბანს, სადაც სცხოვრობს ჩვენი ქალაქის ყველაზე უფრო ღარიბი და ქონებას მოკლებული ბუშა ხალხის ერთი დიდი ნაწილი. ძალიარია ან ის ტროპიკული ციებ ცხელება, რომელსაც ეპიდემიური სახე აიღია, მაკაცედ დაბინავებულა ამ ცუდ სანიტარულს პირობებში მყოფ უბნის ცარიელ ქოხებში. ვაკეში არ იპოვება იმისთანა ოჯახი, რომლის ყველა წევრნი, ამ სიტყვის ნამდვილ მაიშენელობით, არ იტანჯებოდეს ამ სენით და ლოგინში ჩავარდნილი არ იყოს. ყოველ დღე მალარია ბევრს უსპობს სიცოცხლეს და, თუ ზომები არ იქნება მიღებული, მაშინ ჩვენ ჩუმი მოწმენი ვიქნებით იმისა, თუ ჩვენი ქალაქის ერთი დიდი უბანი როგორ ისპობა და ჰკარგება ელენელა.

ვაკეს დიდი, ძალიან დიდი საფრთხე მოელის. არ მოვ ტყუვდეთ იმით, რომ ეს სენი შემოდგომაზედ კლებულობს, თითქმის სავსებით იკარგება.

თუ დღეს ჩვენ არ მივეშველეთ და არ მოვსპეთ ეს სენი, ხვალ უფრო გაძლიერებული ისევ შემოვა და უფრო ძლიერად ითარეშებს ჩვენში.

მაგრამ რანაირ საშუალებებით შეიძლება შველა, რომ ვაკე ამ უბედურებას ავაშოროთ.

ვიცით, რომ უკეთუ მალიარია ვაკეში ეკრე დიდათ გავრცელებულა, გარდა კლიმატური პირობებისა, სხვა მიზეზებიც არიან, როგორც, ანტი სანიტარული პირობები და ისიც, რომ ერთ ციცოთახის ოთახ კუხეულში წვანან ოთხზე მეტი უპატრონო ავადმყოფნი.

ცხადია, რომ ვაკეს ძოსახლეობის ერთი ნაწილი უნდა გადაყვანილ იქნას ამ ცუდ პირობებში მყოფ უბნიდან სხვა უბნების უფრო კარგ, საკანმრთელო ბინებში. ამასთანავე უნდა საექიმო დახმარებაც გაეწიოს ავადმყოფებს ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გაუმჯობესდეს სანიტარული პირობები ვაკისა მომავალში დასასახლებლად.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ მედიკამენტების საკმაო რაოდენობა არ მოიპოვება, რათა სათანადო ზომით მიეხმართ ხალხის ფართოს მასებს და არც არსებობს ვაკეში თავისუფალი ბინები ღარიბ ოჯახებისთვისო. მაგრამ ეს მიზეზები ჩვენ არ გვაკმაყოფილებენ, რადგან თუ წამლები არ არის, მათი მოტანა შეიძლება საზღვარ-გარეთიდან, და თუ თავისუფალი ბინები არ არის ვაკეში, მათი აღმოჩენა შეიძლება სოლოლაკში, რუსთაველის პროსპექტზე და სხვა უბნებში, თუმცა ამისათვის საჭირო იქნებოდა ძალი დაგვეფრთხო კომფორტს ჩვეულ ბატონებისათვის

როცა დახმარების გაწევის ნება არის —ჩვენ გვაქს და უნდა გვქონდეს ეს ნება—მაშინ შეიძლება დახმარების ბევრი გზები ვიპოვოთ.

ჩვენი დაწესებულებები ბევრსა კარგავენ ჩვეულებრივი მძიმე, ნელი მოქმედებით; ის რაც შეიძლებოდა 24 საათში გაკეთებულიყო, არ სრულდება 24 დღეშიაც. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ როცა საჭირო იყო განთავისუფლებული ყოფილიყო მშრომელთათვის რომელიმე ბინა ან შენობა, ეს საკითხი ისე გრძელდებოდა, რომ გვავიწყდებოდა თუ ვისი სახლი გვინდოდა გაგვეთავისუფლებია. მხოლოდ ამ ბოლო დროს არუსტამიანის დანაშვნის შემდეგ, ვგონებ, ვისწავლეთ უფრო გადაჩქარით მოქმედება.

ვაკეს დახმარების საქმე დამკრავ წესით უნდა მოხდეს. ჩვენ გვაქს საკმაო რაოდენობა ავტომობილები—რომლებთ შეუძლიათ რამდენიმე დღეში დასცალონ საჭირო შენობები ღ გადაიტანონ ვაკედან რამდენიმე ოჯახის ავეჯეულობა ახალ ბინებში მასასახლებლად განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვაკელებს ბევრი რამ არ ექნებათ გადასაზიდი.. გარდა ამისა, ჩვენმა მთავრობამ გამოაქვეყნა ერთი დეკრეტი ქალაქის მაქეთა ხორებიდან გასაწმენდათ; უკეთუ ეს განკარგულება სწორად და მალე ასრულდება, მაშინ ქალაქში ბევრი ბინები განთავისუფლდება და მათში ჩაისახლება ბევრი გაჭირვებული ოჯახები.

ვაკეს დარიბი მშრომელი ხალხი ხელიდან მიგვდის, ვაკეში ბინას იქერს გადამდები სენი, რომელიც დაემუქრება მთელ ქალაქსაც. ჩვენ მოვალე ვართ ვისარგებლოთ ყველა შესაძლებელ საშუალებებით, რომ ტფილისის ამ ნაწილის მოსახლეობა გადავარჩინოთ უბედურებას.

რუსეთი

მოხკოვი 26 სექ. უკრაინა დამშეულ ხხარეებიდან დებულობს 25,000 ბავშვს შესანახავად.

მოხკოვი. 28 სექ. კომინტერნის მიერ, 3 კვირის განმავლობაში აკრეფილი დახმარება დამშეულთათვის უდრის 3.139.320 მანეთს ოქროთი, პირველ რიგებში დიდი დახმარების გაღებისა არის ამერიკა, ჩეხო-სლოვაკია და გერმანია.

მოხკოვი. 28 სექ. კართოფილის აკრეფა მთელ რესპუბლიკაში დასრულდა. მოსავალი დამაკმაყოფილებელია.

მოხკოვი 18 სექ. 8 თვის განმავლობაში ყირიმიდან გამოტანილია 2,405,400 ფუთი მარილი.

მოხკოვი 28 სექ. ბუქარესტიდან გვაცნობებენ, რომ ბესარაბიაში გამოცხადდა სამხედრო წესები, ანდარმერია სასტიკ ზომებს მიმართავს გლეხების მიმართ და რეკვიზიციით ართმევს მათ ქონებას.

მახნო რუმინიაში.

რუსეთის ცნობილმა ბანდიტმა მახნომ თავი შეაფარა თავისი რაზმებით რუმინიის ტერიტორიაზე. სექტემბრის 17-ს რუსეთისა და უკრაინის საგარეო კომისიებმა ნოტით მიმართეს რუმინიის მთავრობას, რათა გადმოსცენ მახნო თავისი თანამშრომლებით როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

მოხკოვი. ტვერის გუბერნიამ შესწირა დამშეულთა სასარგებლოდ 300 მილ. მანეთი. ამას გარდა შეკრებილია 7.000 ფუთი ფქვილი, 2,000 ფუთი თესლი. რომელიც გაგზავნა ვოლგის რაიონში აგრეთვე გაგზავნა 4 ვაგონი ქერი და 4 ვაგონი კართოფილი.

მოხკოვი. კვირეულმა, რომელიც იქნა აწყობილი ზემო ვოლოკის გარნიზონის მიერ დამშეულთა სასარგებლოთ შედეგთ მოიტანა 42 ვაგონი შეშა, გარდა ამისა გადატანილ იქმნა 21 ვერსტის მანძილზე 30 კუბ. სკვენი შეშა.

უცხოეთი

მოხკოვი. მაშინ როდესაც მდიდარი და კულტურული ევროპა სპეკულიაციას ეწევა ჩვენს თავზე დატეხილ უბედურებით, ჩამორჩენილი და ღარიბი სპარსეთი რეალურს დახმარებას უწევს დამშეულთ. როგორც კი მივიდა თეგერანში ცნობა რუსეთში მომხდარ სიმშილობის შესახებ, ადგილობრივმა ყველა გაზეთებმა უძღვნეს ამ საკითხს რამოდენიმე თანაგრძნობის წერილი და მიმართეს მოწოდებით დახმარება აღმოეჩინათ დამშეულთათვის. ყველაზე ადრე გამოეხმაურა სპარსეთის მთავრობა, რომელმაც შემოსწირა 35 ათასი ფუთი ხორბალი და 18 ათასი—ბრინჯი, ჩრდილოეთ სპარსეთის მცხოვრებმა მემამულე—სპეხ-სალიარმა შესწირა 100 ათასი—ბრინჯი.

კონსტანტინოპოლი. გაზეთი „ეროლოვურდი დაძინი" იცნობება: ბერძენების ძალა-უფლებამ აღმოაჩინა დიდი შეთქმულება. შეთქმულებს მოუხდენიათ მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა მაკედონიისა ღ ფრაკიის რკინის გზებზე. დატყვევებულია 300 თურქი; მათ შორის დატყვევებულია ფაშაც. ... ბულ თურქთა მეთაური, ცნობილი გამიდ ბეი.

რომი. ჰუნგარიის მეთაურს—ადმინისტრაციალური ბარყოფის, მიუხედავად, და სავლეთ ტუსარეთში—მიეცა ... თავის თავი თავისუფალ სახელმწიფოდ ავსტრიელებსა და ჰუნგრელებს შორის მოხდა მწვავე შეტაკებები.

თეატრი ღ ხელოვნება

სრულიად საქართველოს მწერალთა მორიგი კონფერენცია. კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13), გაიხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა მორიგი წლიური კონფერენცია.

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ, 2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი. 5) „რაბისი" და მწერალთა კავშირი. 6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია. 7) სამეურნეო საბჭოს დაარ ება. 8) მიმდინარე საკითხები 9) საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

—

შაბათს, ოქტომბრის 8 ს, სახალხო სახლში იმართება დიდი ქართული საღამო-კონცერტი საგკეთესო ძალების მონაწილეობით და ფრიად საინტერესო პროგრამით. საღამოს ... ...